



დამტკიცებულია: საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ. 15.11.2021წ. ქ. თბილისი

შეთანხმებულია: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტთან

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში

17-18 დეკემბერი, 2021წ.

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

#### 1. ჩემპიონატის მიზანი

- 1.1. კონტაქტური კარატეს პოპულარიზაცია;
- 1.2. საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების დაკომპლექტება;
- 1.3. პერსპექტიული სპორტსმენების წარმოჩენა;
- 1.4. სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება;
- 1.5. მეზობლებს, სპორტულ კლუბებსა და კარატეს ფედერაციებს შორის მეგობრობის და ურთიერთ-თანამშრომლობის გაღრმავება.

#### 2. ჩემპიონატის განრიგი

2.1. 17.12.2021 – 15:00 – 17:00 სთ - სამანდატო კომისია და სპორტსმენთა აწონვა; წინასაშეჯიბრო სავალდებულო კოვიდ-ტესტირება (მის.: ქ.თბილისი, დიღმის მასივი, ბელიაშვილის ქ. N5, „ძიუდოს აკადემია“)

19:00 სთ - კენჭისყრა, მსაჯთა სემინარი;

- 2.2. 18.12.2021 - 09:00 სთ - საორგანიზაციო კომიტეტისა და მსაჯების გამოცხადება;
- 09:30 სთ - შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენთა გამოცხადება;
- 10:00 სთ - შეჯიბრის დასაწყისი (კატა, კუმიტე);
- 13:50 – 14:00 სთ - შესვენება;
- 16:00 სთ - ფინალური ორთაბრძოლები;
- 17:30 სთ - გამარჯვებულთა დაჯილდოება.

### 3. სამანდატო კომისია

- 3.1. გუნდის უფროსი სამანდატო კომისიას წარუდგენს განაცხადს, მონაწილეთა პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს, სამედიცინო ცნობას, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ სპორტსმენი დაშვებულია ტურნირზე კონტაქტურ კარატეში.
- 3.2. განაცხადების მიღების ბოლო ვადა არის 28.11.2021.
- 3.3. აუცილებელია სპორტსმენებს თან ჰქონდეთ სუფთა კარატე-გი; დამცავი ნიჟარა; 18 წლამდე სპორტსმენებისთვის - თეთრი წვივსაცავები და ხელსაცავი;
- 3.4. თავის დამცავი ჩაფხუტი უზრუნველყოფილი იქნება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.
- 3.5. სპორტსმენები, რომლებიც არ გაივლიან სამანდატო კომისიას, ჩემპიონატზე არ დაიშვებიან.

### 4. მონაწილეთა ასაკობრივი ჯგუფები და წონითი კატეგორიები

ეროვნული ჩემპიონატი ტარდება ევროპის კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციის (EKO/WKO) მიერ შემუშავებული საშეჯიბრო წესებისა და რეგულაციების მიხედვით:

4.1. ჩემპიონატი ჩატარდება კატასა და კუმიტეში ოლიმპიური სისტემით:  
ვაჟები:

10-11 წწ : 30კგ-მდე; 35კგ-მდე; 40კგ-მდე; 40კგ-ს ზევით;

12-13 წწ: 35კგ-მდე; 40კგ-მდე; 45კგ-მდე; 45კგ-ს ზევით;

14-15 წწ: 50კგ-მდე; 55კგ-მდე; 60კგ-მდე; 60კგ-ს ზევით.

16-17 წწ: 60კგ-მდე; 65კგ-მდე; 70კგ-მდე; 70კგ-ს ზევით;

+18 წწ: 65კგ-მდე; 75კგ-მდე; 85კგ-მდე; 85კგ-ს ზევით.

**სამანდატო კომისიის შემდეგ შესაძლოა წონებში მოხდეს ცვლილება;**

გოგონათა შორის წონითი კატეგორიები გამოვლინდება აწონვების შემდეგ;

4.2. ბრძოლების ხანგრძლივობა:

შესარჩევი ბრძოლები“

10-11: 2წთ + 1 წთ + აწონვა (3კგ განსხვავება) + 1 წთ;

12-13: 2 წთ + 1 წთ + აწონვა (3კგ განსხვავება) + 1 წთ;

14-15: 2 წთ + 1 წთ + აწონვა (3კგ განსხვავება) + 1 წთ;

16-17: 2 წთ + 2 წთ + აწონვა + 1 წთ; (წონაში სხვაობა -3კგ; აბსოლუტურში - 8 კგ);

+18: 3 წთ + 2 წთ + აწონვა + 2 წთ; (წონაში სხვაობა - 5კგ; აბსოლუტურში - 10 კგ);

ფინალური ბრძოლები:

10-11: 2წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (3კგ განსხვავება) + 1 წთ;

12-13: 2 წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (3კგ განსხვავება) + 1 წთ;

14-15: 2 წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (3კგ განსხვავება) + 1 წთ;

16-17: 2 წთ + 2 წთ + 1 წთ + აწონვა + 1 წთ; (წონაში სხვაობა -3კგ; აბსოლუტურში - 8 კგ);

+18: 3 წთ + 2 წთ + 2 წთ + აწონვა + 2 წთ; (წონაში სხვაობა - 5კგ; აბსოლუტურში - 10 კგ);

4.3. ჩემპიონატის პროგრამა კატაში:

10-16 წწ სპორტსმენები:

I ტური - აუცილებელი პროგრამა: I-V პინანები

II ტური და ფინალური ტური - თავისუფალი პროგრამა: გექსაი-დაი, გექსაი-შო, ცუკინო, იანცუ, საიჰა;

+16 წწ:

I ტური - აუცილებელი პროგრამა: გექსაი-დაი, გექსაი-შო, ცუკინო, იანცუ, საიჰა;

II ტური და ფინალური ტური - თავისუფალი პროგრამა: კანკუ, სეიპაი, სუმიჰო, სეიენჩინ, გარიუ.

## 5. მსაჯობა

- 5.1. ჩემპიონატს მოემსახურება კონტაქტურ კარატეში ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის, წინასწარ წარდგენილი მსაჯთა ბრიგადა.
- 5.2. მსაჯთა უნიფორმა: ლურჯი პერანგი, მუქი შარვალი, თეთრი ბაფთა (პირბადეები და დამცავი ფარები უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული ფედერაციის მიერ).

## 6. დაჯილდოება

- 6.1. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებით და თასებით.
- 6.2. საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები საქართველოს სახელით მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიოს, ევროპისა და სხვა მაღალი რანგის საერთაშორისო ჩემპიონატებში.

## 7. ფინანსური ვალდებულებები

- 7.1. ჩემპიონატში მონაწილეობა უფასოა.
- 7.2. ჩემპიონატზე მივლინების ხარჯებს იღებს თავად მონაწილე ორგანიზაცია;
- 7.3. ჩემპიონატის საორგანიზაციო ხარჯებს იღებს საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ფედერაცია.
- 7.4. ჩემპიონატის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

## 8. საორგანიზაციო კომიტეტი

- 8.1. ჩემპიონატის მთავარი მსაჯი - ავთანდილ შენგელია
- 8.2. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე - გია გვენეტაძე
- 8.3. ჩემპიონატის მთავარი მდივანი - მარიამ ჩუბინიძე.

## 9. სამედიცინო უზრუნველყოფა

- 9.1 ჩემპიონატს მოემსახურება საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის სამედიცინო პერსონალი;
- 9.2 შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ პსრ-ტესტის/სწრაფი ანტიგენის ტესტის უარყოფითი პასუხის მქონე სპორტსმენები, რომელსაც უზრუნველყოფს ეროვნული ფედერაცია;
- 9.3 პირბადეებს (ყველა მონაწილესთვის, მსაჯებისთვის) ასევე დამცავ ფარებს მსაჯებისთვის უზრუნველყოფს ეროვნული ფედერაცია;
- 9.4. მწვრთნელებმა თან უნდა იქონიონ პირბადეები და დამცავი ფარები.

## 10. კონტაქტი

- 10.1. საორგანიზაციო კომიტეტის საკონტაქტო ინფორმაცია:  
საკონტაქტო პირი - 591 44 41 41 მარიამ ჩუბინიძე

Mail: [mchubinidze0306@gmail.com](mailto:mchubinidze0306@gmail.com)  
[a.shengelia7@gmail.com](mailto:a.shengelia7@gmail.com)